სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №06/98

ქ. რუსთავი

03 აგვისტო 2011 წელი

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქი რუსთავი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კახა ბარათაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. „გზატკეცილი+" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის მოადგილის ვახტანგ კაპანაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და თვითმმართველი ქ.რუსთავის მერის 2011 წლის 1 აგვისტოს №308 (სარეზერვო ფონდი) ბრძანების თანახმად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის.

1.3 „დღე"- „კვირა", „თვე"-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი"- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5„მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „სამუშაო" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ქ. რუსთავში შარტავას გამზირზე სარწყავი მილების შეცვლა და გზის ა/ბეტონის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები.(CPV 45200000). ხელშკერულებას თან ერთვის დანართი, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1583,00 (ერთი ათას ხუთას ოთხმოცდასამი) ლარს.

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების განევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები და ვადები

4.1 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება ეტაპობრივად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება წარმოებს „მიმწოდებლის" მიერ სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი ფორმა №2-ის და ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 20 სამუშაო დღის განმავლობაში. ფორმა №2 დამოწმებული და ხელმოწერილი უნდა იყოს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის მიერ.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის ეტაპობრივად (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღება მოხდება სამუშაოების შესრულებაზე წარმოდგენილი ანაგარიშფაქტურისა და ფორმა №2-ს საფუძველზე, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახურის დადასტურების შემდეგ.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

- „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა;
- „მიმწოდებლის" მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება.

6. სამუშაოს შესრულების ვადა და ადგილი

6.1 სამუშაოს შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

6.2 სამუშაოს შესრულების ადგილად განისაზღვრება ქ. რუსთავი

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ველდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) მომსახურების სრულ და ჯეროვნად გაწევამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

გ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად ან ხარისხობრივად ნაკლული მომსახურება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

შემსყიდველი

მიმწოდებელი

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია:

მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1. პუნქტში;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერიის ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის სამსახური (წარმოდგენილი მისი უფროსის სახით).

8.2 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის" მიერ საკუთარი ხარჯებით.

8.3 „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს" საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1% -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 1%, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

„ შემსყიდველი“	„ მიმწოდებელი“
თვითმმართველი ქალაქი რუსთავი მის: ქ.რუსთავი, მ.კოსტავას გამზირი №26 საიდენტიფიკაციო კოდი № 216433287 სს „ლიბერთი ბანკი” ბ/კ № LBRTGE22 ა /ა № GE78LB0125148543037000	შ.პ.ს. „გზატკეცილი+“ მის: ქ.რუსთავი, გაგარინის ქ. №2 საიდენტიფიკაციო კოდი № 216405913 ს/ს „თიბისი ბანკი“ ბ/კ № TBCBGE22 ა/ა № GE67TB0200000002467050
თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე:	შ.პ.ს. „გზატკეცილი+“-ის დირექტორის მოადგილე:
კახა ბარათაშვილი	ვახტანგ კაპანაძე
ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი: ბესიკ თუთბერიძე	

ქ. რუსთავში შარტავას გამზირზე სარწყავი მილების შეცვლა და გზის ა/ბეტონის საფარის რეაბილიტაცია

#	სამუშაოების ჩამონათვალი	განზ.	რაოდ	მასალა		ხელფასი		ტრანსპორტი		სულ ლარი
				ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	III ჯგ. რეჭის მოთხრა ხელით 9მX0,4მX0,5მ 1,5მX1,5მX1მ	მ3	4.05			9	36			36
2	მოხსნილი მასის 50%-ის დატვირთვა ხელით ა/თვითმცლელზე და გატანა ნაყარში 5კმ-ზე	ტ	3.7			5	19	3	11	30
3	დარჩენილი 50% მიწის უკუჩაყრა თხრილში ხელით	მ3	2			9	18			18
4	არსებული ურდულის შეკეთება	ც	1			50	50		0	50
5	ახალი ყენჩულის დაყენება	ც	1	32.4	32	20	20	1	1	53
6	ჰლასტმასის მილების დ=63მმ მოწყობა	გრძ/მ	30	7	210	3	90	1	30	330
7	ჰლასტმასის მილის დ=40მმ მოწყობა	გრძ/მ	24.05	4	96.192	3	60	1	24.048	180.24
8	დ=63მმ ახალი ქურის დაყენება	კომპლ	2	12	24	5	10	1	2	36
9	დ=40მმ ახალი ქურის დაყენება	კომპლ	1	10	10	5	5	1	1	16
10	ა/ბეტონის საფარის მოწყობა წვრილმარცვლოვანი მკვრივი ა/ბეტონის ცხელი ნარევით ხისქით 5სმ	მ2	18	17.63	317.34	0.24	4.32	1	18	339.66
	ჯამი				**689.532**		**312.32**		**87.048**	**1088.90**
	ზედნადები ხარჯები 12%	ლარი								130.67
	ჯამი	ლარი								1219.57
	მოგებული დაგროვება 10%	ლარი								121.96
	ჯამი	ლარი								1341.52
	დ.ღ.გ. 18%	ლარი								241.47
	ჯამი	ლარი								**1583.00**

შპს "გზატკეცილი+"-ის
დირექტორი ა. გუჯაბიძე